იაკობ გოგებაშვილის სახელობის

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)

სასწავლო კურსის სახელწოდება: ინგლისუენოვანი მედიის ენასასწავლო კურსის კოდი: H.1.En.24

Lლექტორი: ანა გიორგანაშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, უცხო

Eენების კათედრის მოწვეული მასწავლებელი.

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 27 47 56, 593 91 05 72
agiorganashvili@yahoo.com

**საკონსულტაციო ადგილი- უნივერსიტეტის პირველი კორპუსი,**

**ოთახი #13**

**კონსულტაციის დღეები:**
**სამშაბათი-9:00-12:30**

კრედიტების რაოდენობა:(EECTS) 5 კრედიტი, 45საათი საკონტაქტო,
85 _დამოუკიდებელი.

სალექციო კურსის სტატუსი: სავალდებულო, კურსი ისწავლება
ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე დამატებით სპეციალობაზე

სასწავლო კურსის მიზნები: სალექციო კურსის მიზანი განუვითაროს სტუდენტებს ის აუცილებელი ჩვევები, რომლებიც საჭიროა მისი როგორც Eენის სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის კერძოდ კი ავთენტური მასალის კითხვა, გაანალიზება და მოცემული თემის ირგვლივ ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით დისკუსიის გამართვა

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა: არ აქვს.

სასწავლო კურსის სწავლების შედეგი:

მოცემული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი Kკომპეტენციები

| | zogadi | dargobrivi |
|---|---|---|
| კომუნიკაციის უნარი | პრესის ენისთვის დამახასიათებელი სტრუქტურების ცოდნა. | უცხო ენოვან გარემოში ისაუბროს მიმდინარე პოლიტიკურ,ეკონომიკურ, სოცალურ მოვლენებზე შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით. |
| სწავლის უნარი | საინფორმაციო საშუალებებით გადმოცემული მასალის გაგება და ანალიზი. | სტუდენტს შეეძლება თავისუფლად წაიკითხოს და გაიაზროს პრესაში მოცემული სტატიები, თარგმნოს ერთი ენიდან მეორე ენაზე და თავი გაართვას გაზეთის ენისათვის დამახასიათებელ სირთულეს |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | მიღებული/დაგროვილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება | ინგლისურ ენაზე ლიტერატურის წაკითხვა და აღქმა (როგორც ენობრივი, აგრეთვე ლიტერატურული ნაწარმოებების გაცნობა); ინგლისურ ენაზე საკუთარი ტექსტების შექმნა და ინგლისურენოვან სასაუბრო გარემოში აქტიური ჩართვა; |
| დასკვნის უნარი | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადექვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | ინგლისურ ენაზე წარმართული დებატებისა და დისკუსიების შეჯამების დროს ლოგიკური დასკვნების გაკეთება |

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

პრაქტიკული სამუშაო, მთარგმნელობითი სამუშაო, წერითი საშინაო დავალება ,მსჯელობა მოცემულ საკითხზე, აგრეთვე კურსის მსვლელობისას იქნება გამოყენებული როგორც ინდივიდუალური, აგრეთვე ჯგუფური და წყვილური მუშაობის აქტივობები. ყველა წერითი სამუშაოს ჩატარებასთან დაკავშირებით სტუდენტი იქნება დროულად ინფორმირებული. დაუშვებელია ლექციის გაცდენა, დაგვიანება, მობილური ტელეფონით სარგებლობა.
სტუდენტთა ცოდნის შეფასება

შუალედური შეფასებები-მაქსიმუმ 60 ქულა
დასკვნითი გამოცდა—მაქსიმუმ 40 ქულა
სულ –მაქსიმუმ 100 ქულა

შუალედური შეფასებები მოიცავს შემდეგ სამ აუცილებელ კომპონენტს:
2 შუალედური წერა(15X2)-მაქსიმუმ 30 ქულა
(თითოეული მაქსიმუმ 15 ქულა)

შუალედური წერები ჩატარდება მე_8 და მე-14 კვირაში, სტუდენტებს მიეცემათ წერითი სამუშაო რომელშიც შეტანილი იქნება საკითხები განვლილი მასალიდან.
4 გამოკითხვა (4 წერითი)
(თითოეული- მაქსიმუმ 5 ქულა)
(5X4)-მაქსიმუმ 20 ქულა VI, VII, X და XII კვირაში

1 ზეპირი პრეზენტაცია-მაქსიმუმ 10 ქულა.-მე-15 კვირაში სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციის ცხრილი, რომელიც წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან, შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად აირჩევს პრეზენტაციის თემას.
პრეზენტაცია განისაღვრება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების დაცვით:
1)თემის გასაგებად წარდმოდგენა--მაქსიმუმ 4 ქულით
2) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა--მაქსიმუმ 4 ქულით
3) ვიზუალური საშუალებების გამოყენება--მაქსიმუმ 2 ქულით

დასკვნითი გამოცდა-- მაქსიმუმ 40 ქულა
სულ-- მაქსიმუმ 100 ქულა
გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი შუალედურ შეფასებებში მოაგროვებს მინიმუმ 11 ქულას.
კრედიტი ენიჭება სტუდენტს მინიმუმ 51 ქულაზე.

თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ წყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც იგი დროულად აცნობებს ფაკულტეტის დეკანატს.

ძირითადი ლიტერატურა: ინტერნეტი: http://bbclearning.com http://teachingenglish.org.uk ჟურნალ- გაზეთები ( ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში).